

## რადიოების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

### 18 სექტემბერი-15 ოქტომბერი 2012

„ინტერნიუს-საქართველომ“ 2012 წლის 18 სექტემბერი - 15 ოქტომბრის პერიოდში 12 რადიო სადგურის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგისას გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, დაფიქსირდა სუბიექტების გაშუქების სიხშირის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი;
- რადიოებში გაშუქების აქტივობა, როგორც წესი, დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. აღნიშნულ პერიოდში გაშუქების მაღალი მაჩვენებელი ციხეებთან დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა და არჩევნებმა გამოიწვია;
- 18 სექტემბერი - 2 ოქტომბრის პერიოდში განსაკუთრებით იმატა სუბიექტების პირდაპირ პირში გაშუქებამ, თუმცა რადიოებში ირიბი გაშუქების წილი მაინც ჭარბობს;
- გარკვეულ რადიოებში: *რადიო 1, ფორტუნა, ცხელი შოკოლადი, აფხაზეთის ხმა, რადიო იმედი* - ნაკლებად ისმის რესპოდენტების ხმა და ჟურნალისტები პერეფრაზის ან ციტატების წაკითხვით შემოიფარგლებიან;
- შენარჩუნებულია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც უშუალოდ ჟურნალისტები ნაკლებად აკეთებენ შეფასებებს და უმეტესად ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებიან. ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია ჟურნალისტური ეთიკის დარღვევას ან მიკერძოებულ გაშუქებას; აღნიშნული ტენდენცია თანაბრად ვრცელდება თორმეტივე რადიოზე;
- გაშუქების ტონის თვალსაზრისით, გასულ სამონიტორინგო პერიოდებთან შედარებით, სურათი გაცილებით ჭრელია. ეს ძირითადად განპირობებული იყო ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ და არჩევნების მოახლოვებასთან ერთად ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაკეთებული შეფასებების მატებით.

ყოველივე ამას შემდეგ ჟურნალისტები უცვლელად ციტატის სახით, უმეტეს შემთხვევებში კი პერეფრაზის ფორმით გვაწვდიდნენ;

- ჟურნალისტების მიერ გამოყენებული ტონი უმეტესად ნეიტრალურია, თუმცა მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტების ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაშუქების შემთხვევებიც;
- ნეგატიური ტონი კონკრეტული სუბიექტის მიმართ ძირითად შემთხვევებში გამოიყენება ციტირების, ან ერთი სუბიექტის მიერ მეორეზე საუბრის შემთხვევაში;
- ნეიტრალურ ტონთან შედარებით, მცირეა პოზიტიური ტონის გამოყენება და ხშირ შემთხვევაში იგი გვხვდება ერთი სუბიექტის მხრიდან თავისივე ან ცალკეული პოლიტიკური ჯგუფის პოლიტიკური აქტივობის და მიღწეული შედეგების თაობაზე გაკეთებულ შეფასებებში;
- ყველაზე ხშირად პოზიტიური ტონი *კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტის, მთავრობის და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის* გაშუქებისას გამოიყენება;
- არჩევნების შემდგომ იკვლო გაშუქებული სუბიექტების რიცხვმა, რაც მედიის სრული ყურადღების *კოალიცია ქართულ ოცნებაზე, ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაზე* და სახელისუფლებო ინსტიტუტებზე გადართვით აიხსნება;
- რეგიონული რადიოები (*ათინათი, ძველი ქალაქი, ჰერეთი*) გამოირჩევიან თემატური მრავალფეროვნებით და დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც მასშტაბურ მოვლენებს (განსაკუთრებით საარჩევნო საკითხებს), ასევე ლოკალურ სოციალურ პრობლემებსაც. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეებში ამ რადიოებში აქტიურად ხდებოდა პირდაპირი ჩართვები, სიუჟეტების მომზადება და ხმიანი კომენტარების გაშვება. მოვლენის (არჩევნების) აქტუალობიდან გამომდინარე, გაზრდილი იყო საინფორმაციო გამოშვებების ხანგრძლივობაც;
- დათმობილი დროის თვალსაზრისით ყველა რადიოში პირველ ადგილზე *კოალიცია ქართული ოცნება* გვხვდება. მომდევნო ადგილებს *მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* და *პრეზიდენტი* იკავებენ;

## მეთოდოლოგია და ანალიზი

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან. რაოდენობრივი კვლევისას დაკვირვება ხდება შემდეგ ინდიკატორებზე: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი კვლევის ეტაპზე კი მონიტორი შემდეგ თვისებრივ მაჩვენებლებს აკვირდება: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ფაქტების დროული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება.

რაოდენობრივი კვლევის ეტაპზე ითვლება დრო (წამობრივად), როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, რადიო სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტში წარმოდგენილი ნებისმიერი რესპონდენტი.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ სიუჟეტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც. ამგვარი შეფასების მიზანია განვსაზღვროთ ვუქმნით თუ არა მსმენელს სუბიექტთან დაკავშირებით დადებით, ნეიტრალურ ან ნეგატიურ შთაბეჭდილებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტონი არ ენიჭება მთლიან სიუჟეტს. მონიტორები სიუჟეტს მასში მოხსენიებული სუბიექტების მიხედვით ანაწევრებენ და მონაცემთა ბაზაში თითოეულ მათგანს გაშუქების ტონის, მათთვის დათმობილი საეთერო დროის (წამებში), ინფორმაციის წყაროს და თემის მიხედვით აღრიცხავენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ხშირად ერთი სიუჟეტი სხვადასხვა ტონის შემცველ განცხადებებს მოიცავს ერთი ან რამდენიმე სუბიექტის მიმართ.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (წთ:წმ ფორმატში).

დიაგრამებზე ასევე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის

შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო.

თვისებრივად მონიტორინგის დროს მონიტორინგი აკვირდება არის თუ არა სიუჟეტებში გაშუქებული ფაქტი/საკითხი დაბალანსებულად გადმოცემული, ანუ აქვს თუ არა მაყურებელს შესაძლებლობა მოისმინოს/ნახოს სხვადასხვა კუთხით ეს საკითხი და შეაფასოს მოცემული მოვლენა თავისი შეხედულებისამებრ. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ინფორმაციის წყაროებს და სიუჟეტში გამოყენებულ სხვადასხვა მოსაზრების მქონე რესპონდენტებს. ასევე დაკვირვება ხდება მიუკერძოებლობაზე, რომელიც განისაზღვრება იმით, რომელიმე სუბიექტი/სუბიექტები თუ არის გამორჩეული მის მიმართ ხანგრძლივი გაშუქებითა და უმეტესად დადებითი ან უარყოფითი ტონით. ამასთან, სიზუსტის შესაფასებლად მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან სიუჟეტში ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. თუ ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტს რომელიმე არხის საინფორმაციო გამოშვება არ გააშუქებს, ეს აღირიცხება მონიტორინგის დროს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 11 მაისი - 20 აგვისტოს პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები რადიოების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დამონიტორინგებული რადიოს შემთხვევაში ტენდენციები და მიგნებები მსგავსია. მთავარი ტენდენციები კი იმაში მდგომარეობს, რომ რადიოები საკმაოდ დაბალანსებულად და სიზუსტით აშუქებენ მონიტორინგის სუბიექტებთან დაკავშირებულ მოვლენებს.

## **რადიო „ფორტუნა“**

რადიო „ფორტუნას“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი 5 წუთს არ აღემატება და ჟურნალისტები ძირითადად ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებიან. პრაქტიკულად არ გვხვდება რესპოდენტის პირდაპირ პირში საუბრის შემთხვევები და როგორ წესი, თავად გამოშვების წამყვანი ახდენს განცხადებების მოკლე ციტირებას (გამონაკლისს წარმოადგენს კორესპოდენტების ჩართვები მოვლენების ეპიცენტრიდან).

მონიტორინგის პერიოდში რადიოს ეთერში იმატა ხელისუფლებისა და მთავრობის უარყოფით ტონში გაშუქებამ, რაც ძირითადად 18-25 სექტემბერს სახელმწიფოს პენიტენციალურ სისტემაში აღმოჩენილი დარღვევების გაშუქებისას გაკეთებული განცხადებებით იყო გამოწვეული. საერთო ჯამში რადიოს ეთერში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას დაახლოებით სამი საათი დაეთმო. აქედან ყველაზე დიდი დრო კოალიცია

ქართულ ოცნებას (30%), შემდეგ მთავრობას (21%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (12%) დაეთმოთ. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამეული თითქმის ყველა რადიოში მსგავსია.

### **რადიო „ცხელი შოკოლადი“**

„ცხელი შოკოლადი“, სხვა რადიოებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებ დროს უთმობს მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას (ჯამში 56წთ). ეს ტენდენცია თვალშისაცემია მონიტორინგის ყველა პერიოდში. დათმობილი დროის მიხედვით აქ კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მთავრობა ლიდერობენ. საუბრის ფორმა უმეტესად ირიბია, ტონი კი ნეიტრალური.

### **რადიო „თავისუფლება“**

რადიო „თავისუფლება“ გადაცემის ხანგრძლივობიდან გამომდინარე პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებას კვლავაც დიდ დროს უთმობს. მონიტორინგის ბოლო ეტაპზე რადიომ მათ გაშუქებას თითქმის 14 საათი დაუთმო. აქედან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებას (27%), მთავრობას (19%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (11%), ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა (6%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (6%) აქვს.

საინფორმაციო გამოშვებებში ჟურნალისტები ამომწურავად მიმოიხილავდნენ ქვეყანაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს. ამასთან რადიო „თავისუფლება“ დედაქალაქში მიმდინარე მოვლენების გარდა, აქტიურად აშუქებდა რეგიონებში არსებულ სიტუაციას.

ჟურნალისტის ტონი ახალი ამბების გაშუქებისას ძირითადად ნეიტრალური იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კორესპოდენტები სხვათა მოსაზრებების პერეფრაზს ახდენდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რადიო „თავისუფლება“ პოლიტიკური პარტიებიდან ძირითადად კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აშუქებს. სხვა პარტიებისთვის დათმობილი დროის ჯამი სუბიექტებისთვის დათმობილი სრული დროის მხოლოდ 5%-ს შეადგენს.

### **რადიო „იმედი“**

მონიტორინგის პერიოდში, რადიო „იმედი“ ყველაზე დიდი დრო კოალიცია ქართული ოცნების (22%), მთავრობის (19%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (18%) აქტივობების გაშუქებას დაუთმო. სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში, გასული პერიოდების მსგავსად, არაპირდაპირი გაშუქების წილი ჭარბობს, თუმცა დაფიქსირდა პირდაპირი გაშუქების მაგალითებიც: კოალიცია ქართული ოცნების, მთავრობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მისამართით. პირდაპირი/ირიბი გაშუქების ყველაზე თანაბარი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ

მოდრაობას აქვს: პირდაპირი - 31%, არაპირდაპირი - 69%. რაც შეეხება გაშუქების ტონს, ისევე როგორც დანარჩენ 11 რადიოში, აქაც ნეიტრალური ტონი ჭარბობს. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიურ ტონში გაშუქების შემთხვევები კოალიცია ქართული ოცნების, მთავრობისა და ხელისუფლების მისამართით. ამასთან, პოზიტიურ ტონში გაშუქების საკმაოდ დიდი მაჩვენებელი აქვს ორ სუბიექტს: ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მთავრობას.

### **რადიო „უცნობი“**

მონიტორინგის პერიოდში, რადიო „უცნობი“ ყველაზე ხშირად კოალიცია ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მთავრობას აშუქებდა.

„უცნობზე“ გვხვდება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქების მაგალითები, თუმცა ირიბი გაშუქება მაინც ყველაზე ხშირად გამოიყენება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად შუქდებოდა პატიმრების წამების გახმაურებული ფაქტები და მასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები. ამ შემთხვევაში ხელისუფლება და სასჯელაღსრულების სამინისტრო კრიტიკის მთავარი ობიექტები იყვნენ, შესაბამისად, ხელისუფლება მისთვის დათმობილი დროის 80%-ის, მთავრობა კი - 44%-ის შემთხვევაში უარყოფით ტონში გაშუქდა.

მონიტორინგის დროს ჟურნალისტის მიკერძოებულობის ან მისი მხრიდან სუბიექტური შეფასების გაკეთების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

### **რადიო „ჭერეთი“**

სამონიტორინგო პერიოდში, რადიო „ჭერეთი“ საარჩევნო კამპანიების პარალელურად დიდ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივ სიახლეებს, რეგიონში და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განვითარებულ პროცესებს. რადიო გამოირჩევა სიუჟეტების, პირდაპირი ჩართვების და ხმიანი კომენტარების სიხშირით.

მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც მთლიანი დროის თითქმის ნახევარი ხვდა წილად (43%). მომდევნო სუბიექტს - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დროის მხოლოდ 16% დაეთმო.

რადიოს პირდაპირო გაშუქების მაღალი მაჩვენებელი აქვს. სუბიექტების უმეტესობა თანაბრად შუქდებოდა პირდაპირ და ირიბ პირში. გაშუქების ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია, თუმცა იყო ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაშუქების შემთხვევებიც. მაგალითად, ხელისუფლება თითქმის ყოველთვის ნეგატიურ ტონში შუქდებოდა (94%)

## რადიო „პალიტრა“

18 სექტემბერი - 15 ოქტომბრის პერიოდში, „პალიტრამ“ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ყველაზე მეტი - თითქმის 16 საათი დაუთმო. დათმობილი დროის მიხედვით, კოალიცია ქართული ოცნება (31%) ლიდერობს. მეორე და მესამე ადგილებს მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ინაწილებენ (16-16%). „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ დროის 3% დაეთმო, სხვა პოლიტიკური პარტიების გაშუქების მაჩვენებელმა კი ჯამში 2%-ზე ნაკლები შეადგინა.

დადებითი და უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას დაფიქსირებული განცხადებებით არის განპირობებული და თავად ჟურნალისტის მიკერძოებულობის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ირიბი და პირდაპირი საუბრის თვალსაზრისით რადიო პალიტრაში საკმაოდ მრავალფეროვანი სურათია. მიუხედავად იმისა, რომ ირიბი საუბარი კვლავაც ყველაზე ხშირად გამოიყენება, პირდაპირი საუბრის საკმაოდ დიდი წილი მოდის ძირითად პოლიტიკურ სუბიექტებზე.

## რადიო „მწვანე ტალღა“

რადიო „მწვანე ტალღა“, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებისას ძირითად დროს კოალიცია ქართული ოცნების (25%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (17%), მთავრობის (14%) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (9%) აქტივობების გაშუქებას უთმობდა.

რაც შეეხება პირდაპირ და ირიბ გაშუქებას, ირიბი გაშუქების პროცენტული მაცვენებელი ჭარბობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ გარკვეული დროის განმავლობაში პირდაპირი საუბრის საშუალება თითქმის ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მიეცა.

ჟურნალისტის ტონი სუბიექტების მიმართ ძირითად შემთხვევებში ნეიტრალური იყო, უარყოფით და პოზიტიურ ტონში გაშუქების შემთხვევები კი უმეტესად მონიტორინგის სუბიექტების საუბრისას ან ჟურნალისტის მიერ პერეფრაზის დროს ფიქსირდებოდა. ნეგატიური ტონი ყველაზე დიდი დოზით მთავრობისა და ხელისუფლების გაშუქებისას დაფიქსირდა, რაც შეეხება პოზიტიურ ტონს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მთავრობას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა და კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს.

## რადიო „ათინათი“

სხვა რეგიონული რადიოსადგურების მსგავსად, რადიო „ათინათიც“ დიდ ყურადღებას უთმობს უშუალოდ რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. წინასაარჩევნო პროცესების პარალელურად რადიო ათინათი ინტენსიურად აშუქებდა პოლიტიკური პარტიების რეგიონულ აქტივობებსა და საარჩევნო

კამპანიის მიმდინარეობას. საანგარიშო პერიოდში ყველაზე დიდი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას (30%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (16%) და მთავრობას (10%) დაეთმო.

საკმაოდ დიდი იყო პირდაპირი საუბრის წილი. გაშუქების ტონი კი, გასული პერიოდების მსგავსად, უმეტესად ნეიტრალური იყო.

### **„რადიო 1“**

„რადიოს 1“-ის საინფორმაციო გამოშვებები აღწერილობითი შინაარსისაა და გაშუქება უმეტესად „რა, სად, როდის“ რეჟიმში ხდება. რადიო სხვადასხვა პარტიების აქტივობების გაშუქებისას საკმაოდ თანაბრად ანაწილებს დროს. ეს ერთადერთი რადიოა, სადაც დათმობილი დროის თვალსაზრისით პირველ ექვს ადგილს პოლიტიკური პარტიები იკავებენ: კოალიცია ქართული ოცნება (21%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (17%), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (11%), ახალი მემარჯვენეები (8%), ლეიბორისტული პარტია (7%) და თავისუფალი საქართველო (5%).

რადიოში პირდაპირი გაშუქების წილი ძალიან დაბალია. იშვიათად ისმის თავად რესპოდენტების ხმა, არ გვხვდება სიუჟეტები და პირდაპირი ჩართვები. გამონაკლისს წარმოადგენს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, როდესაც რადიოს ეთერში საშუალება გვეძლევა პირდაპირ ჩართვებს და ხშირად კომენტარებს მოვუსმინოთ.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად არიან გაშუქებულნი. რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, ისიც უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია.

### **რადიო „ძველი ქალაქი“**

რადიო „ძველი ქალაქის“ საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 33 წუთი დაეთმო. გამოყენებული ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო. ყველაზე დიდი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (24%) და გამოყენებული ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური იყო. მეორე ადგილზეა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (12%). უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი საუბრის წილით და თემატური მრავალფეროვნებით რადიო „ძველი ქალაქი“ სხვა რეგიონულ რადიოებთან ერთად გამორჩეულია.

### **რადიო „აფხაზეთის ხმა“**


დათმობილი დროის თვალსაზრისით, „აფხაზეთის ხმის“ ეთერში კოალიცია ქართული ოცნება (34%) ლიდერობს, რომელსაც 19%-ით ჩამოუვარდება მეორე ადგილზე მყოფი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ირიბი და პირდაპირი საუბრის კუთხით, „აფხაზეთის ხმის“ საღამოს გამოშვებებში ირიბი საუბარი ჭარბობდა. თუმცა პირდაპირი საუბარი




გარკვეული წილით პირველი ათეული ყველა სუბიექტის შემთხვევაში იყო გამოყენებული. გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალურია. რადიოს სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებად გვხვდება სიუჟეტები, პირდაპირი ჩართვები და რესპოდენტების ხმიანი კომენტარები და ჟურნალისტები პერფორანით და ციტატების წაკითხვით შემოიფარგლებიან.

## დანართი


დიაგრამა 1




დიაგრამა 2




დიაგრამა 3




დიაგრამა 4




დიაგრამა 5




დიაგრამა 6




დიაგრამა 7




დიაგრამა 8



დიაგრამა 9




დიაგრამა 10




დიაგრამა 11

**რადიო კვლ ქალაქა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 2სთ და 33წთ)**




დიაგრამა 12


**რადიო აუზნაზეთის ხმაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 1სთ და 50წთ)**



დიაგრამა 13




დიაგრამა 14



დიაგრამა 15




**რადიო თავისუფლებაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: პირდაპირი-ირიზი საუბარი**




დიაგრამა 16


**რადიო იმედიზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: პირდაპირი-ირიზი საუბარი**




დიაგრამა 17



დიაგრამა 18




დიაგრამა 19




დიაგრამა 20

**რადიო მწვანე ტალღაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: პირდაპირი-ირიბი საუბარი**




დიაგრამა 21


**რადიო ათინათზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: პირდაპირი-ირიბი საუბარი**




დიაგრამა 22



დიაგრამა 23




დიაგრამა 24






დიაგრამა 25




დიაგრამა 26







დიაგრამა 27




დიაგრამა 28




დიაგრამა 29




დიაგრამა 30




დიაგრამა 31




დიაგრამა 32




დიაგრამა 33




დიაგრამა 34




დიაგრამა 35




დიაგრამა 36




დიაგრამა 37




დიაგრამა 38




დიაგრამა 39



დიაგრამა 40




დიაგრამა 41







დიაგრამა 42




დიაგრამა 43




დიაგრამა 44




დიაგრამა 45



დიაგრამა 46



დიაგრამა 47



დიაგრამა 48

